

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის**

ოქმი №1

25 იანვარი, 2017 წელი
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ლაშა გოგია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

მამუკა წოწერია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე;

თენგიზ შანავა _ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ნანი მიქენაია _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია _ ეკონომიკური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;

ლაშა ჯაიანი _ ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

გიგა ფარულავა _ შესყიდვების სამსახურის უფროსი;

ბესიკ ქარდავა _ შესყიდვების სამსახურის სამშენებლო პროექტებისა და სამუშაოების შესყიდვის განყოფილების უფროსი;

კახაბერ ჯაბუა _ შესყიდვების სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვის განყოფილების უფროსი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით _ ექვსი წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, ოქტომბრის ცენტრიდან, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის, ახალკახათის გავლით (ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზამდე), საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა.







მოისმინეს: სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ლ. გოგიას ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, ოქტომბრის ცენტრიდან, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის, ახალკახათის გავლით (ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზამდე), საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით და კომისიას განსახილველად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.

სხდომის მსვლელობა: სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადების ფორმები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 25000 ლარით.




კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცდეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, ოქტომბრის ცენტრიდან, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის, ახალკახათის გავლით (ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზამდე),საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დეველოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

კომისიის წევრები:

- | | | | | | | |
|----|---|--------------|----------------|----|--|---------------|
| 1. |  | ლ. გოგია | (თავმჯდომარე); | 5. |  | რ. კილასონია; |
| 2. |  | მ. წოწერია; | | 6. |  | ლ. ჯიანი; |
| 3. |  | ა. შანავა; | | | | |
| 4. |  | ნ. მიქენაია; | | | | |

კომისიის აპარატის წევრები:

- | | | |
|----|---|--------------|
| 1. |  | გ. ფარულავა; |
| 2. |  | ბ. ქარდავა; |
| 3. |  | კ. ჯაბუა. |